# სახალხო გაზეთი

№ 1066 ხუთშაბათი, 12 დეკემბერი 1913 წ. № 1066

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედინი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთს თვეთ მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 30 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**უფასოკვირეული სურათებიანი დამატებით**

**პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 75 კაპ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 31—8.

**ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1913 წ.**

**ბენეფისი მ. მდივნისა**

ქართ. დრამატ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ახალი მოძღვრება**

დრამა 4 მოქმ. და 7 სურათად ბირეტისა, თარგმ. ალ. კანდელაკისა.

**განახლებული ტანისამოსი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გარსიაშვილი, დავითაშვილი, ...ოიძე, მამულაშვილი, მაჭავარიანი, მდივანი, პიერეტა, ქოდალოვისა, ქიქოძე, სინაურიძე, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, თუხარელი, იმედაშვილი, მესხი, ხონელი, სარაული, ფრანგიშვილი, ციციშვილი, შანშიაშვილი, ურუშაძე, შალიკაშვილი.

**დასაწყ. საღამოს 8 ს.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვლ. შალიკაშვილი.**

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: ,,მარიამ სტიუარტი'', ,,ჰამლეტი'', ,,სინათლე'' ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა

---

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

**სამკურნალო**

**საწოლი ოთახებით**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

**გორის პირველი კერძო**

# სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი ვ. ვ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ მოკლე ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

---

# ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქინღიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებზ.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი ვ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოვი ვ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათანიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, ,,606''-და ,,914'' წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. წ. 1474

---

პარასკევს, 13 დეკემბერს, 1913 წ. „სოუზ კაპელკა"-ს საზოგადოების კონებათა გასაძლიერებლად ზუბალაშვილის სახ. სახლთან არსებულ **უკრაინელ დრამატიულ წრის** არტისტთა მიერ წარმოდგენილი იქნება

**ფენეფა** (ბოშა ქალის კლანჭებში)

პიესა 4 მოქმედებად სიმღერებით—თხზ. მ. სოგობოჩნისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. პიესაში და ანტრაქტებში დაუკრავს პლასტუნთა მე-5 ბატალიონის ორკესტრი.

რეჟისორი **ს. პ. კუკოლევსკი.**

პასუხის მგები გამგე **მ. ფ. მაკავეევისა.**

---



**პირველ-ხარისხოვანი**

**დიდი ცირკი**

**ძმ. ესიკოვსკებისა**

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

**დღეს, 12 დეკემბერს, 1913 წ.**

**დიდი საარისტოკრატო წარმოდგენა**

დღეს თითო კაცს შეუძლიან შეიყვანოს თითო ქალი უბილეთოდ; ან 2 ქალს შეუძლიანთ შესვლა 1 ბილეთად.

მე-13 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა. დღეს ჭიდაობენ. ვახტუროვი და ლევრენოვი, კოპიევი და პრუსსიკი; ციპსი და საბატიე, ელიზაროვი და სოლოვიოვი.

178

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

---

**კინოო — საღვარ-გარეთის კინოო**

**რ. ა. პორტუგალოვისა**

იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა

**საქარხნო მაღაზიამ**

მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედა ტანი და ხალათები ცალკ-ცალკე.

**ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან. აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.

1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**

---

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდებ**

**საზოგადოებისავე გამოცემული და საკუთარი წიგნები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრ. | 40 კ | ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, | 5 ,, |
| ასპინძის ომი, | 7 ,, | ვეფხვის ტყაოსანი, | 60 ,, |
| ალი, ლომაურისა, | 10 ,, | ,, ,, ქართველიშვ. გამ. 11- | 65 ,, |
| ამბავი ცხოველთა სამეფოსი, რუბაკ., | 50 ,, | Законы царя Вахтанга. | 3—50 ,, |
| აზიის მზეთობი, | 0 ,, | თხზულ. რაფ. ერისთავისა, მე-2, | 40 ,, |
| ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველა, | 15 ,, | ,, ვაჟა-ფშაველასი, | 1— — |
| ჩრდილი, ი. ჭავჭავაძე, | 5 ,, | ,, ეკ. გაბაშვილისა, | 1—20 ,, |
| ბუნების კარი, | 70 ,, | ,, პუშკინისა, | 50 ,, |
| ბუნების ცოდნა, პოლბერი | 25 ,, | თავდადებული ქართველნი, ი. გოგებ. | 7 ,, |
| ბარტექ ძლევა-მოსილი, | 20 ,, | თავდადებული ქართვ. ეჯიფი, მისივე, | 5 ,, |
| ბურჯი ეროვნებისა. ი. გოგებაშვილი, | 20 ,, | თორნიკე ერისთავი, აკაკისა, | 35 ,, |
| გეომეტრია მე-2-ე. მ. ყიფიანი, | 50 ,, | იავნანამ რა ჰქმნა, იაკობ გოგებ. | 7 ,, |
| გულივერის მოგზაურობა. | 30 ,, | კონა, მისივე, | 40 ,, |
| განდეგილი. ილია ჭავჭავაძე, | 5 ,, | კატალოგი წ.-კ. ს. წიგნთ-საცავისა, | 60 ,, |
| გლახის ნაამბობი, მისივე, | 20 ,, | ,, ,, დამატება, | 40 ,, |
| გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენები, მისივე, | 7 ,, | ინდი მინდი ფერად შინდი, ქორიძის ნოტი, | 30 ,, |
| დედა და შვილი, მისივე, | 3 ,, | ბროლის ყელი, მისივე ნოტები, | 20 ,, |

---

**შრომა და ნაწარმოები**

**დ. ი. არაყიშვილისა:**

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356

---

**გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.**

# შენატვალე

[ი. სარაჯიშვილის და ი. გრიშაშვილის] სურათებით. ფასი 25 კაპ.

---

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაწყობილი სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

**9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

---

**ქ. გორში**

**ექიმი** (დოქტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

---

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს სასქესო ორგანოთა, **ათაშანგისა** და ...ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

# სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აზვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელაწეე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოუთვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევა**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვა**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპიზოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვა.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070

---

**საზურთალოზე**

**მშვენიერ ალაგას**

ახ... აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

---

**ექიმ ლ. ლ. გოცირიძის**

**სამკურნალო**

**ქალ. ბაქოში**

მუდმივ საწოლებით:

**სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.**

**ფასი მორიგებით.**

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

---

**ვაგზლის კერძო**

# სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. მ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა ,,606"-ით** 1462

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

---

**ექიმი გ. მ. ღოღობერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 2—3 საათამდე. საზებიო, ქალის და შინაგანი ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

---

**ექიმი** მღვდელი **ს. ა. ლეჟავა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

---

**დოქტორი**

**ი. ო. უკლადნიკოვი**

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751


# ტფილისი, 12 დეკემბერი

**მთავრობის გაზეთი და საქართველო.**

არ ვიცით, რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მთავრობის გაზეთმა „როსია"-მ თავისი მოწყალე თვალით გადმოხედა საქართველოს და წერილი უძღვნა. „როსიას" მე-2475-ე ნომერში დაბეჭდილია წერილი, რომელიც ქვევით იბეჭდება. როგორც მკითხველი დაინახავს, მთავრობის გაზეთი დიდს სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ საქართველოში გადმოსახლებულ რუსთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას არ მივაქცევდით ამ გარემოებას, რადგანაც ძალიან კარგად ვიცით, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს მთავრობა გადმოსახლების პოლიტიკის წარმოებაში, რომ არა ყოფილიყო ერთი გარემოება, რომელსაც უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს ქართულმა პრესამ. ჩვეულებრივად, გადმოსახლების პოლიტიკის იდეოლოგები გვეუბნებიან ხოლმე, რუსების გადმოსახლება საქართველოში საჭიროა, რადგანაც ამით ძლიერდება სახელმწიფოებრივი ელემენტიო. მთავრობა წინადაც დარწმუნებული იყო და, ალბად, ეხლაც დარწმუნებულია, რომ საქართველოს დაკავშირება რუსეთთან შეიძლება არა რეფორმების მოხდენით, არამედ ისეთის ზომებით, რომელსაც სრულს სოციალურ დეზორგანიზაციამდე მიჰყავს საქართველო, რომლის ნანგრევებზედაც უნდა აშენდეს გადმოსახლებულ რუსთა ახალშენები. ბევრი რამ შეეწირა მსხვერპლად ამ უტოპიურ ოცნებას. გავიდა ხანი, და, გვგონია, თვით მთავრობაც დარწმუნდა, რომ საქართველოს სოციალური დეზორგანიზაცია არც ისეთი ადვილი საქმეა. გასაოცარის სისწრაფით სწარმოებს მიწების მობილიზაცია. თავად-აზნაურობა რაღაც გაშმაგებულის სისწრაფით ეშურება მამულ-დედულის განიავებას, საგლეხო ბანკმა ენერგიულად აამუშავა თავისი სპეციალური მექანიზმი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიალურ მთლიანობის დაცვას, საქართველო მაინც არ მომკვდარა და კვლავ იჩენს სასიცოცხლო ძალას. თურმე, არც ისე ადვილი ყოფილა ათასი წლით კულტურულ ...ვრებით გაწრთვნილი ერის მოკვდინება! კავკასიის მეფის ნაცვალი ერთს თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში სწერდა, იყო დრო, როდესაც საქართველოს შუაგულში შეჭრა ადვილი საქმე იყო, მაგრამ ეხლა ეს ვეღარ მოხერხდებაო. მიუხედავად ამისა, გადმოსახლების პოლიტიკას მაინც დიდი მომხრეები ჰყავს არამც თუ მთავრობის წრეებში, სათათბიროშიც კი! აღარას ვიტყვით რუსეთის საზოგადოების ნაციონალურ ნაწილზე. ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ ადამიანს თავისი თავი დიდს პროგრესისტად მოაქვს და ჰგონებს კიდეც, რომ გადმოსახლების პოლიტიკა საქართველოში კარგად არ არის მოწყობილი.

ყველა ზემოდ ნათქვამი რომ მივიღოთ მხედველობაში, არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც მთავრობის გაზეთი დიდს იმედებს ამყარებს გადმოსახლებულებზე.

მაგრამ, როდესაც იგივე გაზეთი სწერს, გადმოსახლებულებმა კულტურა შეიტანეს საქართველოშიო, ეს კი სიცილის მეტს არაფერს გამოიწვევს იმათში, ვინც ცოტა ახლო იცნობს ჩვენს ქვეყანას. ვეძებთ და ნაყოფი გადმოსახლებული რუსების კულტურტრეგერობისა ვერსად ვნახეთ. ალბად, თვით მთავრობის გაზეთსაც ვერსად უპოვია, რადგანაც კულტურტრეგრობის ნიმუშად მოჰყავს ის გარემოება, რომ კახელებმა თავი დაალწიეს ძველებურ წესს მევენახეობისას და ხელი მიჰყვეს ახალს. ჩრდილოეთის მცხოვრებმა რომ მევენახეობის კლასიკურ კუთხეს—კახეთს—მევენახეობა ასწავლოს, ეს გონებაში მხოლოდ ისეთს ადამიანს შეუძლიან დაებადოს, რომელსაც ადგილობრივი ცხოვრების პირობებისა სრულიად არაფერი გაეგება.

მართალია როგორც კახეთს, ისე საქართველოს სხვა კუთხეებს ეკონომიური გამოცოცხლება ეტყობა, მაგრამ ეს ნაყოფია არა რუს გადმოსახლებულთა კულტურტრეგერობისა, არამედ ჩვენი ქვეყნის საერთო გამოცოცხლებისა.

მთავრობის გაზეთი ერთმანეთს ადარებს რუსსა და ქართველ გლეხს და იმ დასკვნამდის მიდის, რომ პირველი შრომის მოყვარეა, მეორე კი—ზარმაცი, პირველი შეძლებულია, მეორე კი—ღარიბი. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ის გარემოება, რომ რუსის ახალშენებში საფელდშერო პუნქტებია, სკოლებია და სხვა. არ გამოვეკიდებით ოფიციოზს და არ დაუწყებთ იმის მტკიცებას, თუ რომელი მათგანი უფრო ზარმაცია. ვინც ქართველი გლეხის შრომის პირობებს იცნობს, მიჰხვდება, რომ მხოლოდ უდიდეს ენერგიის წყალობით დაიცვა გლეხმა ის მდგომარეობაც კი, რომელშიაც დღეს იმყოფება. მაგრამ, როდესაც ოფიციოზი ერთმანეთს ადარებს რუსსა და ქართველ გლეხის ცხოვრებას, არც ის უნდა დაივიწყოს, თუ რანაირ პირობებში უხდებათ მუშაობა პირველებსა და მეორეებს. გადმოსახლებული რუსები ადგილობრივ ადმინისტრაციის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ არიან; გადმოსახლებულებს ეხმარებიან ყველაფრით, რითიც კი შეიძლება დახმარება. ადგილობრივ ადმინისტრაციის განსაკუთრებულ მზრუნველობის ქვეშ მყოფ გადმოსახლებულმა რუსებმა რომ უკეთესად მოაწყონ თავიანთი ცხოვრება, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს ისინი კულტურულად ქართველებზე მაღლა სდგანან.

მთავრობის გაზეთი რომ ცოტათი მაინც გასცნობოდა ჩვენს მიწათმფლობელობას, ეცოდინებოდა, რანაირი ხასია იქ გამეფებული და რა ბარბაროსულ პირობებში უხდება მუშაობა ქართველ გლეხს. მთელ საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი ისეთი დაწესებულება, რომელიც გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდეს. რაც კეთდება, ისიც კერძო ინიციატივის წყალობით. და ვინ არ იცის, რასა ნიშნავს დღევანდელ პირობებში კერძო ინიციატივა, რამდენი ხელოვნურად დაგებული დაბრკოლების გადალახვა მას სჭირდება? ამის შემდეგ ქართველ გლეხზე ყველაფერი შეგიძლიანთ სთქვათ, მაგრამ დასცინოთ, ზარმაცი და უკულტუროაო, ნება არა გაქვთ. რა ზომები მიიღო მთავრობამ ქართველი გლეხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? როდის გამოიჩინა მან მზრუნველობა? თუ არაფერი გაგიკეთებიათ მისთვის, რა უფლებითა სთხოვთ სიმდიდრესა და ეკონომიურ კეთილდღეობას? ადამიანს მოუსპო ყოველივე საშუალება ეკონომიური განვითარებისა და თანაც დასცინო, უკულტურო და ღარიბი ხარო—ეს ისეთი უსამართლობაა, რანაირიც მთავრობის გაზეთსაც არ ეპატიება.

„როსსია"-ს წერილში არის კიდევ ერთი ადგილი, რომელიც, უეჭველია, მკითხველის ღიმილს გამოიწვევს. გადმოსახლებულ რუსთა კულტურტრეგერობას ქართული სოციალისტური ინტელიგენციაც კი აღიარებსო, ბრძანებს გაზეთი. საინტერესოა ვიცოდეთ, ვისა ჰგულისხმობს ან რასა ჰგულისხმობს მთავრობის გაზეთი, როდესაც ამასა სწერს. ჩვენ ასეთი ჯურის ინტელიგენციას არ ვიცნობთ. ისიც პირველი გაგონებაა, რომ გადმოსახლებულთ რუსების „მამებმა და პაპებმა" თავიანთი სისხლით მორწყეს საქართველოს მიწები. თუ მთავრობის გაზეთი საქართველოს დაპყრობილ ქვეყნებს უდარებს, მაშინ ძალიან შემცდარი ყოფილა. საქართველოს მიწაზე რუსის სისხლის ერთი წვეთიც არ დაქცეულა, ქართველების სისხლითა და ოფლით კი მართლა მორწყულია ის ადგილები, რომლებზედაც ეხლა გადმოსახლებული რუსები პარპაშობენ.

## ქართული პრესა

დასელების გაზეთის პუბლიცისტები ისე კალამს არ აიღებენ ხელში, რომ დემაგოგიას არ მიჰმართონ. აი ეხლაც, ხიზანთა საკითხის შესახებ სწერენ. არჩევდნენ ხიზანთა პროექტს, მაგრამ გულმა მაინც ვერ მოუთმინათ და დეპუტატს გელოვანს გადასწვდნენ:

„აქ მოჰხდა საკვირველი რამ,—სწერს ვიღაც კ—ტი,—კომისიის ოპოზიციონურ წევრებს აზნაურთა დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროს წევრის „ტრუდოვიკის" თავ. გელოვანის ბინაზე შეხვდნენ."

რა არის აქ საკვირველი, ალაჰმა უწყის? ტფილისიდან დეპუტაცია წავიდა, სურდათ ენახათ კომისიის წევრები. დეპუტატმა გელოვანმა დეპუტაცია და კომისიის წევრები ერთმანეთს შეახვედრა. რად დასჭირდა დასელთა გაზეთს ამ ამბავის მოყვანა? მკითხველი ამასაც მიხვდება, თუ მხედველობაში მიიღებს ქვემოდ მოყვანილ სიტყვებს:

„აზნაურები ჩიოდნენ, უსამართლობაა მიწები მიეცეს ხიზნებს, რადგან ეს ხიზნები ეხლა მამულებს ყიდულობენ და ისედაც მდიდარი არიანო.. ეხლა ეს ვაჟბატონები ვერაფის მოატყუილებენ, მათი ნამდვილი სულისკვეთება აშკარაა. ოპოზიციის წარმომადგენელმა უარჰყო აზნაურთა პრეტენზიები. რა მოჰხდა მერე? იკითხავს მკითხველი. აი რა. კომისიის მეორე სხდომაზე, როდესაც კანონ-პროექტის ამ მუხლების განხილვას შეუდგნენ, სადაც მიწების გამოსყიდვის საფუძველზეა ლაპარაკი, თავ. გელოვანმა წინადადება შეიტანა, კანონ-პროექტი მცირე კომისიაში გადაცემულიყო, რადგან მისი დაწვრილებითი გაცნობა არის საჭიროო".

ეხლა ხომ ცხადია, მკითხველო, რაც ალაპარაკებს „სიტყვას?" მას ჰსურს შეაპაროს ის აზრი, რომ, რახან დეპუტატმა გელოვანმა მთავრობის კანონ-პროექტში ბევრი შეცდომა და გაუგებრობა დაინახა, სჩანს ის თავად-აზნაურობის ინტერესებს იცავს და ხიზნების წინააღმდეგი არისო. ამისთვის არის შეთითხნილი მთელი ეს წერილი. ნეტავი ვიცოდეთ, როდის გადაიქცა დასელთა ორგანო მთავრობის კანონ-პროექტების აბსოლუტურ ღირსების დამცველად და როდის შეითვისა ის აზრი, რომ მთავრობის კანონ პროექტებში არასოდეს არავითარი შეცდომა არ შეიძლება იყოს? რათა ჰგონია, რომ მთავრობის კანონ-პროექტის დაწუნება ამასთანავე ერთად არის მიღება თავად-აზნაურობის პროექტისა? ეჰ! მაგრამ ღირს კი ლაპარაკი? თითონაც ძალიან კარგად იციან, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ რას დაგიდევენ? გელოვანი კი გალანძღონ და სხვა რაღა უნდათ?

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გახსნას სოფელ **საგარეჯოში** **უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო** ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილის სახელობაზე.

✦ **ქველმოქმედთა საგულისხმოდ** ვაცხადებთ, რომ ნაძალადევში, პავლოვსკის ქუჩაზე № 7 სცხოვრობს ლოვლად უმწეო მდგომარეობაში მყოფი, გადასახლებულ **ბაგრატ გოჩაშვილის ოჯახი**, რომელიც ოთხის სულისაგან შესდგება. უმწეოდ დარჩენილ დედას, სამუშაოდაც არსად შეუძლიან გასვლა. რადგან ყველაზე უმცროსი შვილი ორის წლისა ჰყავს. დიდს მადლს იზავენ, თუ ვინმე გულკეთილი ადამიანი იკისრებს ამ პატარის გამოზრდას მაინც. ყოველივე დახმარება ზემოხსენებული მისამართით უნდა გაიგზავნოს.

✦ **რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საზოგადოების „იზვესტია"-ში განუზრახავთ კავკასიის შესახებ ვრცელი განყოფილება იქონიონ, ამის გამო სთხოვს ყველას, ვისაც აქვს შედგენილი წიგნი, ან რაიმე წერილი ამ დარგის შესახებ, მიაწოდოს ამ საზოგადოებას.

✦ კავკავის ქართული სკოლა 26 დეკემბერს ჩვეულებრივს **ქართულ საღამოსა ჰმართავს**. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, კომპ. ნიკ. სულხანიშვილი და გრიშაშვილი. ბ-ნი სულხანიშვილი ადგილობრივ მოამზადებს ჰომლერალთა გუნდს. ბ-ნი სულხანიშვილი გუშინ ღამის მატარებლით კავკავს გაემგზავრა.

✦ **სკრიპკის დამკვრელ დოლიძის** სასარგებლოდ ჩვენმა რედაქციამ ყარანგოზიშვილისაგან ხუთი თუმანი მიიღო. როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ბ-ნ დოლიძის მუსიკის მასწავლებელმა პროფესორმა ჩვენს საზოგადოებას მიჰმართა, რადგანაც დოლიძე ნიჭიერი ყმაწვილია და სკრიპკა არა აქვსო, დაეხმარეთ, რომ შესძლოს მისი შეძენაო. ბ-ნმა ყარანგოზიშვილმა სწორედ ამ მიზნით შემოსწირა ხუთი თუმანი.

✦ **ვერის პარკი.** ამ ჟამად ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიაში აღძრულია საკითხი ვერის პარკის გამშვენიერების შესახებ.

✦ **საელექტრონო სადგური.** ქალაქის გამგეობა ქალაქის საბჭოს ერთ-ერთს უახლოეს კრებაზე მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საელექტრონო სადგურის მდგომარეობის შესახებ.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცვის** განხილვას ქალაქის საბჭო დღეიდან შეუდგება. ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად დღეის შემდეგ ყოველ ხუთშაბათობით მოხდება საბჭოს კრებები. ჰფიქრობენ, ხარჯთაღრიცხვის განხილვა ამ თვის ბოლოს დასრულდება.

✦ **ვერის ხიდი.** როგორც მკითხველებმა იციან, ვერის ხიდზე ეტლით გამვლელთ შაურს ახდევინებენ. ეს გადასახადი იმ პირობით არის შემოღებული, რომ მხოლოდ მაშინ მოსპონ, როდესაც მთელი შემოსავალი დაჰფარავს იმ ფულს, რომელიც ხიდის გაკეთებაზე დაიხარჯა. გადასახადი ამ ჟამად წელიწადში 26,000 მან. უდრის. ასეთ შემოსავლით ხიდზე დახარჯული ფული ჩქარა ვერ იქნება ანაზღაურებული და გადასახადი კიდევ დიდხანს დარჩება. ამ გადასახადის გამო ხშირად მგზავრთა და გადასახადის ამკრების შორის უსიამოვნება ხდება ხოლმე, რაც ხელს უშლის ხიდზე წესიერ მიმოსვლას. ამის გამო ქალაქის გამგეობის წევრის თანამდებობის აღმასრულებელმა მ. ა. ჯაბარმა ქალაქის გამგეობაში აღძრა საკითხი: სრულიად განთავისუფლებულ იქნან ამ გადასახადისაგან ეტლები და ავტომობილები და აგრეთვე ის ფურგუნები, რომელიც დაუტვირთავი გაივლის. ბ-ნ ჯაბარის აზრით, ამით შემოსავალი ბევრად არ შემცირდება, რადგანაც შემოსავლის უმთავრეს წყაროს ტრამვაი და დატვირთული ფურგუნები შეადგენენ.

✦ **ქართული თეატრი.** დღეს, ქ-ნ მარო მდივნის საბენეფისოდ ქართული დრამატიული დასი დასდგამს ბარრეტის 4 მოქმედებიან დრამას „ახალი მოძღვრება".

✦ **პურისა და ხორცის ნიხრის** გადასათვალიერებლად 10 დეკემბერს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება მოხდა. კომისიამ ხორცის ნიხრს ერთი კაპეიკი მოუმატა, ხოლო თორნეში გამომცხვარ პურს ნახევარ კაპეიკი დააკლო.

✦ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ **ტემირ-ხან-შურაში** დაარსდა გლეხების საქმეთა სამართველო და მომრიგებელ-შუამავლის 20 თანამდებობა.

✦ ქართულ სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგეობა ღრმა მადლობას უცხადებს **კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასულს ბაგრატიონ-მუხრანსკისას**, რომელმაც საზოგადოებას 30 მ. შემოსწირა.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **საყანულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრება** დაიწყება 15 დეკემბერს. კრებაზე მონაწილეობის სურვილს რუსეთის მრავალ ქალაქიდანაც აცხადებდნენ. მონაწილეთა შორის იქნებიან გამოჩენილი მოღვაწენი საყანულეთა მოწყობის საქმისა და მრავალი პროფესსორი და დიდი მოხელე.

კრების საპატიო წევრად გუშინდლამდე ჩაეწერა 100-ზე კაცი, ხოლო ნამდვილ წევრად—150 კაცი.

კავკასიის სამოქალაქო უწყების საზეითალო ნაწილის სამმართველოს წარმომადგენლებად კრებაზე იქნებიან: ზოლოტარევი და სენიავსკი: ამას გარდა სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რათა კრებას დაესწროს ტფ. გუბერნიის საზეითლო დაწესებულებათა ერთი წარმომადგენელი.

✦ **„ტფ. კრუჟოკის"** წევრთა კრება 15 დეკემბრისათვის არის დანიშნული.

✦ **საკოოპერაციო კრება** დღეისათვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება არის დანიშნული მომავალ საკოოპერაციო კრების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

### მაჰმადიანთა ცხოვრება

✦ **სახალხო განათლების სრულიად რუსეთის პირველ კრებაზე** დასასწრებლად თავიანთ წარმომადგენლები აირჩიეს ბაქოში მაჰმადიანთა განმანათლებელმა საზოგადოებამ „საფამ", განმანათლებელმა საზოგადოებამ „ნიჯათ" და ქალაქის თათრულ სკოლების მასწავლებლებმა.

### სომეხთა ცხოვრება

✦ **კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას** ბათომის განყოფილების უკანასკნელ სხდომაზე გადაუწყვეტია გახსნას ბათომში ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რისთვისაც გადაუდვიათ 3,950 მანეთი.

✦ ამას წინად **თავრიზში** არქიმანდრიტის მელიქ-ტანგიანის მეთაურობით ეპარქიის დელეგატების კრება გაიმართა შესახებ იმისა, რომ სასკოლო გადასახადი შეაწერონ ყველა სომეხს სომხური სკოლების შესანახად. კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა მოიწვიოს წოდებათა წარმომადგენელნი და მათთან ერთად შეიმუშაოს სასკოლო გადასახადების გეგმა.

✦ **თეირანიდან** დეპეშით იტყობინებიან: 9 დეკემბერს სპარსეთის სომეხმა რევოლვერით ქუჩაში მოჰკლა რუსეთის ქვეშევრდომი სომეხი. ჰფიქრობენ, რომ მოკლული სომეხი, არის ცნობილი ტერორისტი, რომელმაც რამდენიმე წლის წინად ერევანში ჟანდარმთა როტმისტრი მოკლაო. იგი ამ ბოლო დროს თეირანში ყალბი პასპორტით სცხოვრობდა. მკვლელი მდევართ რუსეთის საკონსულოში დაემალა.

### ქუთაისი.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყეთ, ფინანსთა სამინისტროს უკვე დაუმტკიცებია ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით განზრახული სააქციონერო საზოგადოება მეღვინეობისა ქუთაისის გუბერნიაში. აქციების განაღდებას, თურმე, რუსეთის ერთ-ერთი ბანკი კისრულობს, რომელიც ბატონ ნიკოლაძეს მილიონნახევარ მანეთს აძლევს საქმის მოსაწყობად. ამბობენ, ნ. ნიკოლაძე გაზაფხულიდანვე შეუდგება ქუთაისში დიდი სარდაფის აშენებას, მთავარ ხელმძღვანელად მოიწვევს ერთერთ პროფესორს და სხ. საზოგადოებას სარდაფი ქუთაისის რომელიმე განაპირა ადგილზე ექნება, მთავარი კანტორა კი შუაგულ ქუთაისში.

✦ ორშაბათს, ღამით ქუთაისში დიდი ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდა. გაჩხრიკეს გაზეთი „სიტყვის" რედაქცია. დაპატიმრებულია ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე, პოეტი ვარლამ რუხაძე, ვ. მალაქიაშვილი, ი. რუხაძე, ი. ბახტაძე, თ. ჟღენტი, ცაცა დარახველიძე, ნოქარი მ. ბერიშვილი და სხ.

✦ ქუთაისის ბაზარზე ფქვილის ფასმა აიწია. ფუთი ფასობს 1 მან. და ექვს შაურად.

✦ ქუთაისში სცხოვრებმა სერგო ლუკას ძე გერსამიამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა მას ნება დართოს თავის რედაქტორობით გამოსცეს ქუთაისში ყოველდღიური ქართული გაზეთი „ჩვენი ერი".

## დღიური

### გაკვეთილები

ცხოველურმა გრძნობებმა გაიღვიძეს, ღრმად ჩანერგილმა ველურობამ თავი წამოჰყო და თავისუფლად დათარეშობს, ერთის მხრიდან მეორეზე გადადის, მიაქვს და მოაქვს მტვერი და აურზაური, ისვრის მუქარას და ტყვიას უმიზნებს მტერს, რომელიც ჯერ არსად მოსჩანს.

„ჩვენი ზურგი ცემას არ არის მიჩვეული და უძლურნი და უღონონი არა ვართო", ამბობს ერთი.—„არავისთან ბრძოლას არ ვფიქრობთ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, ჩვენც უმწეო და სუსტნი ვიყოთო", უპასუხებს მეორე. ეს იწერება გაზეთებში, რომლებშიც ყოველთვის ასე თუ ისე თავდაჭერილნი არიან. კერძო საუბარში, ოჯახში თუ შეკრებულობაში უფრო გაბედული მუქარები გაისმის, უფრო ცხარედ პეურაცჰყოფს ერთი ბანაკი მეორეს და მოურიდებლად გაიძახის: კმარა, ხელი ძირს და გზიდან ჩამოგვეცალენითო!

სახის გამომეტყველება შეიცვალა; იქ, სადაც მხიარულებას ხედავდით, ახლა გულ-ჩათხრობილობა და მიუკარებლობაა აღბეჭდილი. მოპირდაპირენი მედიდურად გამოიცქირებიან და მოკავშირეებს ეძებენ—ერთნი მუსულმანთა და რუსის ადგილობრივ ლიბერალებს შორის, მეორენი რუსის მოხელეთა და სხვებს შორის. ომი არ დაწყებულა, მაგრამ ბუკი უკვე ყვირის და მოსკოვის მეჭორე გაზეთი დაფდაფსა სცემს, რომ მოქიშპენი საბრძოლველად რაზმდებიანო...

აი სურათი, სხარტულად კალმით მოხაზული და ცოტათი შესწორებული, რომელსაც წარმოადგენს დღეს ზოგიერთ სომეხთა და ქართველთა ურთიერთობა. მოხდა მეტად სამწუხარო ამბავი, პოლიტეხნიკუმის ადგილის საკითხს ნაძალადევად ჩაექსოვა ეროვნული მოსაზრება, საკითხი არ გადაწყდა იმის მიხედვით, თუ საქმისთვის სად ემჯობინებოდა უმაღლესის სასწავლებლის აშენება, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელი ერის წარმომადგენლებისთვის ეს არ იქნებოდა არასასიამოვნო და საწყენი.

არავისთვის არაა დაფარული, რომ დღეს რუსეთში მმართველი წრეები სომხებს შედარებით კეთილის თვალით უცქერიან. შეიძლება აქ ოსმალეთის სომხეთის საკითხსაც ჰქონდეს გავლენა. ეს ჩვენ არ გვშურს და არა გვსურს, რომ ყველა ერი ჩვენსავით ტანჯული და წამებული იყოს. სხვისი ჭირი ჩვენს ჭირს მალამოდ არ დაედება. მაგრამ ჩვენს გულს მწარედ სერავს და ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას ფეხით სთელავს, როდესაც ჩვენს სიმართლეს ჰგმობენ სხვის მოსამადლიერებლად, რომელისამე ერის ჯგუფის ინტერესების დასაცავად და ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ ნავთლუღის არჩევა იყოს მხოლოდ სოლოლაკელთა ხრიკების შედეგი და ამ არჩევანს არ თანაუგრძნობდნენ სხვა წრის სომხები.

და დღევანდელ პირობებში აუცილებელია სომეხ-ქართველთა უთანხმოება ზოგიერთ საკითხში. თითოეულს მათგანს თავისი ეროვნული ცხოვრება აქვს და ეს ცხოვრება ჯერ-ჯერობით არაა განსაზღვრული და თავის კალაპოტში მოთავსებული. დიდი კულტურული მუშაობაა ამისათვის საჭირო.

ამ წერილში აზრად არა მაქვს ამ უთანხმოების გარკვევა. აღვნიშნავ მხოლოდ ფაქტს და იმას, რომ ეს უთანხმოება ცხადჰყო, სხვათა შორის, პოლიტეხნიკუმის ადგილის არჩევამაც. განა ეს უთანხმოება რომ არ არსებობდეს, ისე გაუგებარნი ვიქნებოდით ერთი მეორისთვის, ისე მიუწდომელი იქნებოდა ერთისთვის მეორეს სიმართლე? ასე დაჟინებით დაიჩემებდა ერთიც და მეორეც: მე ვარ მხოლოდ მართალი და არა შენო?

დიახ, ეს უთანხმოება სინამდვილეა. ამის არ დანახვა და გვერდის აქცევა შეუძლებელია, მაგრამ ამის თქმა და ველური მუქარები, ერთი მეორის გაფრთხილება „სუსტნი ნუ გგონივართო", ბუკისა და ნაღარით ხელში ერთი და იგივეა? განა უთანხმოების გადამწყვეტი მარტო ცხოველური საშუალებაა? ჩვენი ეროვნულის ღირსებათა აღმადგენელი გზა ერთმანეთზე მკლავებით მისვლაა?

არა, ვინც რა უნდა მუქარები გადმოისროლოს ჩვენსკენ ან სხვისკენ, ვისაც რა სიამოვნებას უნდა მოჰგვრიდეს მდაბალ თვისებათა გაღიზიანება, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვსქვათ, რომ ქართველი ხალხი შორსაა, დაიცვას თავისი პიროვნება და გადასწყვიტოს სადავო საკითხი მეზობლებთან არა კულტურულ საშუალებით. ჩვენ ოდნავად არ ვივიწყებთ ჩვენ დამცირებას, ოდნავად არ ვურიგდებით დღევანდელს მდგომარეობას, გაბედვით მივისწრაფით ჩვენი ქვეყნის სრულის განახლებისაკენ, არავის მივცემთ ნებას ჩვენის უფლებათა შეზღუდვისათვის და თუ სოლოლაკელნი და მათნი თანამოაზრენი ჰფიქრობენ წინ გადაელობონ რითიმე ჩვენს ეროვნულს განახლებას, ჩვენ გვაქვს მრავალი საშუალება შესაფერი კულტურულ ერისა შევებრძოლოთ მათ და ჩამოვიშოროთ გზიდან!

დეე, მიმართოს უმსგავს იარაღს, ვინც არ ენდობა თავის ერის სულიერს სიმტკიცეს და შემოქმედებას, ჩვენ კი გვწამს, რომ ქართველი ერი არ შელახავს თავის დროშას, და ის მუდამ წინ-სვლის მეთაური იქნება კავკასელ ერთა შორის, როგორც იყო წინად! მუდამ დაიცავს ადამიანობას და მედგრად შეებრძოლება ცრუ მეგობრებს!.. **სიტყვა.**

## ჩვენი დეპუტატი სათათბიროში

(წერილი პეტერბურგიდან)

მეტად უფერულია მეოთხე სახელმწიფო სათათბირო.

ეს მეორე სესიაა მეოთხე სათათბიროსი და არცერთი ღირსშესანიშნავი სხდომა არ ახსოვს მას.

საკვირველია განა, რომ ასეთ სათათბიროში უხალისოდ წავედი? თვენახევარი გავატარე ისე, რომ ერთხელაც არ დამებადა სურვილი წასვლისა. მაგრამ სამმა დეკემბერმა სხვა ხასიათზე დამაყენა. ავდექი და გავემართე სათათბიროსკენ. დილის თერთმეტი საათი იყო. მისაღებ ოთახში გელოვანი გამოვიხმე. სანამ გელოვანი გამოვიდოდა, ოთახში ბათუმის ქალაქის თავი—ანდრონიკაშვილი შევამჩნიე. არ ვიცნობდით ერთმანეთს. გადის სულ რამდენი წუთი, ჩემს გვერდით მსხდომთან მოდის ვიღაც ჩასკვნილი, საშუალო ტანის კაცი, შავგვრემანი... მესმის ქართულ-რუსული ორიოდე სიტყვა და მალე ისინი ერთმანეთს შორდებიან. მხოლოდ ეხლა შევიტყე, რომ იგინი იყვნენ ანდრონიკაშვილი და აკაკი ჩხენკელი*).

აგერ გელოვანისაგან „ბილეთი"-ც მივიღე და ლოჟასაკენ გავსწიე. სხდომა სწარმოებდა. თავმჯდომარეობდა პროგრესისტი კონოვალოვი. გარეგნულად სრულიად ახალგაზდაა. ტრიბუნაზე სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის მეუმრავლესეთა ფრთის ლიდერი მალინოვსკი იყო და ცხარედ ლაპარაკობდა. დარბაზში დეპუტატები მეტად ნაკლებად არიან. მალინოვსკი რილშია შესული და „ჰქუხს", მაგრამ დეპუტატები არხეინად საუბრობენ, გაზეთებს კითხულობენ, თავს იქცევენ.

საკითხი ქალაქთა უძრავ ქონებათა დაბეგვრას ეხებოდა. გადასახადების საკითხი რუსეთის მთავრობისათვის ყველა სხვა საკითხზე მეტად საინტერესო საკითხია და ამიტომ მას იცავდა ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ნ. ნ. პოკროვსკი. მინისტრთაგან სათათბიროში არავინ იყო. საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვეს აღნუსხულ საგანზე ლ. ა. ველიხოვმა, პოსნიკოვმა, მალინოვსკიმ, გელოვანმა და სხ. გელოვანი მე განსაკუთრებით მაინტერესებდა და ამიტომ მეტად ყურადღებით ვექცეოდი ყოველ მის მოქმედებას. ხსენებულ საგნის თაობაზე ამ დღეს გელოვანი ორჯერ გამოვიდა ტრიბუნაზე და მისი სიტყვის ბოლო მემარცხენეთაგან ტაშით იქმნა დაჯილდოვებული. თვით ლაპარაკი და ორატორული ხერხი გელოვანის სტიქიას შეადგენს. ხმა მისი ნაზია და საამო, მაღალი და მკაფიო. ვით ქართველი იგი ტემპერამენტის, გრძნობის, ერთი სიტყვით, ემოციის ჭეშმარიტი განმცდელია, და ღრმადაა დარწმუნებული, რომ თავის სასპეციალო საგნებზე და ჩვენი ყოფა-ცხოვრების ღუხჭირ მოვლენებზე ის წარმოსთქვამს დიდად დამაფიქრებელ და გონებაა გამახალისებელ-გამღვიძებელ სიტყვებს. დიდი დრო არ არის, რაც იგი სახელმწიფო სათათბიროში მოღვაწეობს, მაგრამ ამ დროშიაც იგი უკვე სათათბიროს ძველს დეპუტატს მოგაგონებთ, გამოცდილს, გამოწრთობილს. ამიტომ გელოვანის თვით ყოფა-ქცევაც, მოქმედება სრულიად თავისუფალია, მის ყოველ ნაბიჯს ბეჯითობის და ღრმა რწმენის დაღი აზის.

მაგრამ სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატის მთავარი მოღვაწეობა ორატორობაში როდი არის ჩამარხული. სათათბიროში მეტად მძიმეა „ყრუ" საკანონმდებლო მუშაობაა, რომელსაც გარეშე ხალხი ნაკლებად ამჩნევს, გარნა თუ ხალხის წარმომადგენელი ვარგისიანია, ფხის და ცნობიერების გამოჩენა შეუძლია—იგი ბუნებრივადა ხდება აუარებელ საქმეების მესვეურად. ჩვენი დეპუტატი—ვარლამ გელოვანი ამ პოზიტიურ მუშაობაში ერთი ენერგიული დეპუტატთაგანი არის მთელს სახელმწიფო სათათბიროში. არიან პიროვნებანი, რომელნიც ადამიანის

*) დღეს უნდა გარჩეულიყო ბათუმის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის საკითხი. სინოდინოს ავადმყოფობისა თუ სხვა მიზეზის გამო ამ დღეს სხდომამდე იგი საკითხი არ გარჩეულა. როგორც ვ. გელოვანმა მითხრა, საკითხი ბათუმის ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდება უეჭველადაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებაში ვერა ჰქმრავენ კეთილ-წყობას, სიმპატიას და მით თავის გარშემო ვერ ამყარებენ ცხოველ-ყოფას, სიცოცხლეს. დეპუტატი ვარლ. გელოვანი ამ მხრივ პირდაპირ ბეჯნიერი ადამიანია, იგი მეტად საზოგადოებრივი პიროვნებაა, რომლის გარშემო ბუნებრივად და თავის თავად იქმნება და ცხოველდება სიცოცხლე, ცხოვრება. ამ დღეს (3 დეკემბერს) იგი სათათბიროში შრომის ჯგუფის სულის ჩამდგმელი იყო, მოუსვენარი, საქმიანი, ენერგიული. ამ მხრივაც ფრიად სიმპატიური პიროვნებაა იგი, ჩაჭრილია მრავალ კომისიათა მუშაობაში და თავისი მხურვალე მონაწილეობით ყოველ კრებაში იგი პირნათლად ემსახურება თვით იდეას სახალხო საქმეების სამსახურისას. თან—თავის აზრიან მუშაობით, იგი დიდ გავლენას ახდენს მრავალ კანონ-პროექტის სვე-ბედზე, მით უფრო, თუ იგი კანონ-პროექტი ეხება ჩვენს სამშობლოს და ჩვენს მშობელ ხალხს.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აღვნუსხო საზოგადოდ ჩვენი დეპუტატის მდგომარეობა. უეჭველად, მდგომარეობა ჩვენი დეპუტატისა ყოველ დეპუტატზე გაცილებით რთულია და მძიმე, ძნელი. იქ, სადაც მთელი კოლეგის ყრუ შრომაა საჭირო, გელოვანი იძულებულია მარტოდ-მარტო გამოვიდეს, დაიცვას და განავითაროს განსაზღვრული პოლიტიკური კურსი. ამ მძიმე, რთულ საქმეში იგი ერთად-ერთი ადამიანია!

ქ. პეტერბურგი. **თედ. ღლონტი.**

## რუსეთის ახალშენები საქართველოში

ამ სათაურით გაზ. „როსსია"-ს მე-2475 ნომერში დაბეჭდილია წერილი, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

— „მომავალ წელს ტფილისის გუბერნიაში მოსახლე რუსები იდღესასწაულებენ ათი წლის თავს, რაც დაარსდა საქართველოში რუსთა პირველი ახალშენი—ტროიცკი. ამ სოფლის დასაარსებლად ზოგი სახაზინო მიწა მიუზომეს, ზოგიც თვითონ გლეხებმა შეიძინეს მეზობელ მემამულეთაგან.

სულ ათიოდე წლის განმავლობაში რუსების ახალშენები საქართველოში შესამჩნევად გაიზარდა. ჩვენს გლეხებს, რომელთა უმრავლესობა ჩრდილო-კავკასიიდან არიან გამოსულნი, მხოლოდ კახეთში 8.500 დესეტინა მიწა უჭირავთ. ეს მათი საკუთრებაა; 3.500 დესეტ. მიწა კი ან მემამულეთაგან ან სოფლის საზოგადოებისაგან იჯარით აქვთ აღებული.

საქართველოში რუსთა 30-დე ახალშენია; მათ ხელში 20.000 დესეტინა მიწაა. რუსის გლეხებმა საქართველოში კეთილდღეობასაც მალე მიაღწიეს.

ეს მით უფრო ღირს შესანიშნავია, რომ ახლად გადმოსახლებულნი მხოლოდ თავის საკუთარ ძალაზე იყვნენ დამყარებული, ადგილობრივი მცხოვრებნი მტრულად შეჰხვდნენ მათ: იძულებულნი იყვნენ ცხარე ბრძოლა გაეწიათ სომეხ და ებრაელ მევახშეებთან, რომელნიც ჰშიშობდნენ, რუსებმა მეტოქეობა არ გაგვიწიონო. პრესამ განგაში ასტეხა, „მუჟიკთა იერიშასაგან" შეშინებულმა ქუთაისის თავად-აზნაურობამ ოფიციალურად უკმაყოფილება გამოაცხადა;— მაგრამ ჩვენი გლეხის მოთმინებამა და შრომამ ყველა დაბრკოლება სძლია და იგი მკვიდრად დასახლდა მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ბინაზე.

ქართველ ხალხს რუსის მოსახლენი მალე შეეთვისნენ; მდიდარმა ნიადაგმა გამოისყიდა პირველ ხანებში გაწეული ხარჯი, სიმინდი და ღვინო ბარაქიან მოსავალს იძლეოდა მცოდნეთა ხელში; ყაჩაღებისაგან საერთო შიშმა დაჰბადა მათში მეგობრულ და მშვიდობიანი ურთიერთობა; ეხლა შედარებაც კი არ შეიძლება ქართველ და რუს გლეხკაცთა ყოფა-ცხოვრებისა რამდენადაც პირველი უზრუნველია, დაუდევარი, ზარმაცი, ოცნებათა მოყვარე, რამდენადაც ჭუჭყიანია მისი მჭვარტლიანი ალიზის ქოხი, ღარიბია მორთულობა, დაქვეითებულია მეურნეობა,—იმდენად რუსთა ქოხში ჰსუფევს კმაყოფილება, მყუდროება და სისუფთავე; კაკლის ხეებით გარე შემორგულ ეზოში დადიან ჩერქეზულ ჯიშიმის ხარები ან ტლანქი კამეჩები, აგურით ნაგებ ფარდულებში მოსჩანს გერმანული სამუშაო ეტლები, ვენახი განწმენდილია და გასხლული, ერთის სიტყვით ყველა უბრალოს, უმნიშვნელო რამესაც, რომელსაც ეტყობა მზრუნველი ხელი, მახვილი გონება, რომელიც მალე ეთვისება ახალ პირობებს.

რუსთა ახალშენების წმინდა კულტურულ როლს არ უარჰყოფს სოციალისტთა კლანჭებში მომწყვდეული ქართველი ინტელიგენცია: რუსებმა კავკასიაში შემოიტანეს ახალი ცხოვრება, რომელიც დაუბრუნებს მხარეს წარსულს სილაღეს და სიმდიდრეს; გაღატაკებული ადგილობრივი მცხოვრებნი ეცნობებიან მიწათმოქმედების ახალ-ახალ საშუალებას; მივიწყებულია რომელთა დროის სახნისი, მის ნაცვლად ხმარობენ უახლესს გუთანს, შრომის ინტენსი იზრდება, ხასიათის სიფიცხე თანდათან ცხრება, უდარდელობა ჰქრება, ხანჯალი ჰკარგავს ძველებურ ძალას; მიწის სიყვარული იფურჩქნება.

რუსის მოქალაქენი ყველაზე მტკიცედ და მკვიდრად დასახლდნენ სიღნაღის ღარიბ მაზრაში, ეხლა ამ მაზრის ქართველები სხვა მაზრების მცხოვრებლებზე მდიდარნი არიან, უკუაგდეს მევენახეობის და მეღვინეობის ბარბაროსული წესები; თავის ახალ მეზობლებისაგან ბევრი კარგი მაგალით გადაიღეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსთა ყველა ახალშენში არსებობს კარგად მოწყობილი საფერშლო პუნქტი, ორკლასიანი სასწავლებლები, ნიკოლაევკაში, ზელიონოპოლეში, დმიტროვკაში არსებობს მეურნეობის ცოდნის გამავრცელებელი მშვენიერი სადგურები; საკუთარი ძალებით მოაწყეს სამაგალითო ჰიდრო-მოწყობილებანი და ყველა ეს მოხდა იქ, სადაც მოსავალი უწყლობის გამო ტიალდებოდა.

რევოლიუციის წელთა სამწუხარო ხანამ უმნიშვნელოდ არ ჩაიარა ახლად გადმოსახლებულთათვის, მათ ჰბუგავდნენ და სწვავდნენ, აწიოკებდნენ ადგილობრივი ზელიმ-ხანები და მყვირალა მარქსისტები; მღელვარებისაგან შეშინებულმა მთავრობამ დახმარება ვერ აღმოუჩინა მათ, მაგრამ რუსის გლეხებმა მაინც შესძლეს დაეცვათ თავისი ავლა-დიდება გამხეცებულ ზარმაცებისაგან და კეთილი გავლენა იქონიოს ახლო-მახლო მხოვრებლებზე.

ერთის სიტყვით, წარმოსადგენადაც კი ძნელია, თუ რა საახალშენო ნიჭია ჩამარხული ჩვენს გლეხობაში. იგი ადვილად შეეთვისა უცხო ჰავას, მოიფიქრა მთელი სარგებლობა სიმინდის მოყვანისა და სხვა, დააფასა ბუნების სიმდიდრე, ადგილობრივ მცხოვრებთა თანაგრძნობა დაიმსახურა, მოარიგა გამწვავებული ურთიერთობა გაღარიბებულ თავად-აზნაურობისადმი, რომელიც ალმაცერად უყურებდა „რუს კაცაპებს" და ყველა ეს გაკეთდა წყნარად, მშვიდად, მოთმინებით, ყველა ამას რუსის გლეხმა თავისი გონიერებით მიაღწია.

ეხლა ძნელად და იცნობს კაცი ამ სუფთა, დარბაისელ, შეძლებულ გლეხებს, უცხენო და ღატაკ გლეხს, როგორიც რომ იყო იგი თავის სამშობლოში. გვინდა ვირწმუნოთ, რომ სათათბირო და მთავრობა დაივიწყებს პარტიობას და ყოველმხრივ დაეხმარება კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრივობის შეუმჩნეველ პიონერებს. **ფ—ნი.**

## „მდევნი უტოლონი, გმირნი უსწორონი"

ტარიელ მკლავამძეებმა ქურქი იცვალეს,—ეხლა ისინი ჩოხა-ახალუხით აღარ იარებიან, თოფ-იარაღით აღარ ბრწყინავენ. ტარიელებსა ჰნახავთ ფრაკებით გამოწყობილთ, სტუდენტების მუნდირებით მოკაზმულთ. გარეგნულად ისინი კულტუროსან ადამიანებს ემსგავსებიან, მაგრამ, ცოტა რომ დააკვირდეთ, ბრჭყვიალა ძანძეტებს ქვეშ მოსჩანს ველურების ბასრი ბრჭყალები, გაკრიალებულ-გახამებულ პერანგ ქვეშ—პირველ ყოფილი ადამიანის ბალანი. დიახ, ტარიელ მკლავამძეებმა მხოლოდ ქერქი იცვალეს, თორემ ისინი თავისი ყოყლოჩინობით, სამარცხვინო გმირობით და ქარაფშუტობით იგივე უკვდავი მკლავამძეები არიან. ეს „განათლებული" მკლავამძენი თავისი არსებობით ჰშხამავენ ჰაერს და ისედაც უფერულ ჩვენს ცხოვრებას უფრო უხამსად ჰხდიან.

განა ადესის რესტორანის დამრბეველნი მკლავამძეები არ არიან უფრო დაბალი სულით, უფრო მახინჯი გონებით, ვიდრე ნინოშვილის უკვდავი გმირი? მაგრამ მკლავამძეობა, ველურება იჩრდილება მის წინაშე, რაც ადესის იმავე სტუდენტებმა კიდევ ახალი საზიზღრობა ჩაიდინეს.

გუშინ მკითხველი ჩვენს გაზეთში ამოიკითხავდა გულის ამაშფოთებელ ამბავს. ადესის ცნობილმა „რაინდებმა" შეურაცხყოფა მიაყენეს ხელით ორ საუკეთესო სტუდენტს იმისთვის, რომ მათ გაუმჟღავნებიათ მათი სამარცხვინო საქმე.

აი, ნამდვილი კაფეშანტანის გმირები, ღამის რაინდები, მიყრუებულ ბნელ ქუჩების მოდარაჯენი! მათი კულტი მუშტია, მათი სათაყვანებელი საგანი — ღვინო-არაყი, მათი გართობა და სიამოვნება სხვისი დარბევა და შეურაცხყოფა! ზნეობა, ადამიანობა, პატიოსნება გარყვნილების სიბინძურით არის მოშხამული. მათ არ გააჩნიათ სულიერი საზრდო, რადგანაც სულის ყოველი ძალა არაყის ოხშივარით აქვთ ამოშრეტილი, სამაგიეროდ სავსებით აქვთ შეთვისებული, საეჭვო ღირსების რაინდთა ეტიკეტი, ტრადიციები: მოჰკალით, აწამეთ, დაახრჩე! ტრადიციებს მაინც არ უღალატებენ აქ ისინი ხასიათის დიდ სიმტკიცეს გამოიჩენენ, სულის დიდ ძალას გვიჩვენებენ.

ეს ტრადიციები კი მხოლოდ და მარტოოდენ მუშტზე ტრიალებს.

თვითონ უიდეოთ სძაგთ და ეჯავრებათ იდეით გატაცებული ადამიანი; ისინი თავისი ჩახლეჩილი ხარხარით დასცინიან რწმენით აღფრთოვანებულ ახალგაზდობას. თვითონ უწმინდურთა და უზნეოთ ვერ მოუნელებიათ სპეტაკი და ფაქიზი ადამიანის არსებობა. თვით გზა-კვალ აბნეულთ ზიზღსა ჰგვრის სწორე გზით მოსიარულე. უკანასკნელში ისინი ჰხედავენ თვის სულის ქეჯნას, ერის მრისხანე მსჯავრს. და თუ გაჰბედა ვინმემ და ამხილა მათი უგვანო საქციელი,—მაშინ მუშტი კადნიერს, მუშტი!

წარმოდგენილი მაქვს, რამდიდურებით, რა ამპარტავნობით აღივსებოდა არყისგან მათი ობ მოკიდებული გული, როდესაც ამ რაინდობას ჩაიდენდნენ! ეს იქნებოდა წუთი მათის უმაღლესი ზეიმისა, კაცად-კაცურის სიამოვნებისა!

ერთი სიტყვით, ისინი ამ შავბნელ ცხოვრების ფონზე არიან გმირნი, „მდევნი უტოლონი, რაინდნი უსწორონი!"

ითარეშეთ ადამიანთა კარიკატურებო, სანამ დრო თქვენია!

**მიხეილ ხაჟვარელიძე.**

## შოთა რუსთაველის ფიქრები

გული კრულია კაცისა—
ხარბი და გაუძღომელი,
გული ჟამ-ჟამად ყოველთა
ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი;
გული ბრმა, ყური ხედვისა,
თვით ვერას ვერ გამზომელი;
ვერცა პატრონობს სიკვდილი,
ვერცა მეფეა რომელი.

**შოთა რუსთაველი.**

ვეფხის ტყაოსანში აქა-იქ ღრმა ფიქრებია გაფანტული. როცა პოემას შეუწყვეტლად, გაბმით კითხულობ, შიგა-და-შიგ ჩართული დიდად საგულისხმო ფიქრები მოგწონს, წამიერად დაგაფიქრებს, მაგრამ მალე ისევ კვალ-და-კვალ მისდევ მოთხრობას და ვერ იცლი იმისათვის, რომ წაკითხულ აზრის მთელი სიღრმე-სიგანე გაზომო, ღბოლი მარგალიტის ფასი სავსებით გამოარკვიო.

ვთქვათ ვინმე ნიჭიერი, სიცოცხლით სავსე ადამიანი გესაუბრებათ; მხიარული, პოეტური ენით თავგადასავალს გადმოგცემთ, რასაკვირველია ისე გაგიტაცებთ, რომ დროც არა გაქვთ ყურადღება მიაქციოთ და სავსებით დააფასოთ ის ღრმა აზრები, რომლებიც იმის საუბარში შიგა-და-შიგ გამოკრთის—მხოლოდ შემდეგ, როცა მარტო დარჩებით, თვალწინ ნათლად წარმოგიდგებათ აზროვნების ეს ძვირფასი მარგალიტები, ღრმად დაგაფიქრებთ თვითეული მათგანი და ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის მთელ სიღრმე-სიდიადეს გაგიმხელთ.

გერმანელები ამბობენ: თვითეული განცალკევებული აზრი, ეგრედ-წოდებული აფორიზმი—პაწია ოთახია, რომლის ფანჯრიდან თვალ-უწვდენ მანძილზე სჩანს ქვეყნიერებაო.

დაუჯეროთ გერმანელებს: შევიდეთ ხოლმე დრო-გამოშვებით რუსთველის მთელი პოემის სივრცეზე, ამ პოეტურ ველზე, შიგა-და-შიგ აშართულ პაწ-პაწია მყუდრო, განცალკევებულ ოთახებში და რასაც ფანჯრიდან დავინახავთ—მსურველთ გაუზიაროთ.

„გული კრულია კაცისა—ხარბი და გაუძღომელი.

. . . . . . . . . .

გთხოვთ ყურადღებით, გულ-დასმით გადაიკითხოთ ამ წერილის სათაურში მოყვანილი რუსთველის აფორიზმი და თვითეულ სიტყვას თქვენი გონების სრული გამჭრიახობით დაუკვირდეთ. ამ აფორიზმში, მოკლე მანძილზე, ადამიანის გულის, იმისი გრძნობის დიადი ფილოსოფიაა გადაშლილი.

ადამიანის ბედკრული გული რომ ხარბი და გაუძღომელია, რასაკვირველია, ეს ყველამ კარგად ვიცით; კარგად ვიცით აგრეთვე, რომ იგივე გული განუწყვეტლად ითმენს ჭირს, სიმწარეს და ლხინს, ბედნიერებას მიელტვის.

ხოლო ვეჭვობ, რომ ყველამ კარგად ვიცოდით, თუ რისაგან წარმოსდგა ადამიანის გულის ეს იდუმალი თვისება. ამ იდუმალობას სავსებით გაგვიმხელს რუსთველის შემდეგი სტრიქონები იმის შესახებ, რომ „გული, გრძნობა, თავის ბუნებით ბრმა, ხედვის ყური, თვით ვერას ვერ გამზომელია".

გული, გრძნობა—ნიშნავს სურვილს, წადილს. მე მინდა, ჩემ გულს სწადიან რამე. ადამიანის მთელ ბუნებას, იმის სულიერ და ხორციელ ვითარებას რომ დავაშოროთ, მოვსწყვიტოთ მხოლოდ მისი გული, მისი გრძნობა, უთუოდ დავრწმუნდებით, რომ იგი მართლაც „ბრმა, ხედვის ყური და თვით ვერას ვერ გამზომელია".

მივმართოთ ნათელ მაგალითისათვის ბავშვს და ვკითხოთ: რა სურს მსხალი, ვაშლი თუ ყურძენი? უეჭველად გიპასუხებთ, რომ ყველა ერთად უნდა—მსხალიც, ვაშლიც და ყურძენიც. ეს იმიტომ მოსდის ბავშვს, რომ იგი ბუნებასთან დაახლოვებულია, ამ მსოფლიოს ბრმა, სტიქიურ ძალებთან მტკიცე უხილავ ძაფებით გადაბმულია. ბავშვის არსებაში ამიტომ ყველაზე ნათლად ჩანს გულის, გრძნობის „ხარბი, ბრმა, ხედვის ყური და თვით ვერას ვერ გამზომელი" ვითარება.

მოვსწყვიტოთ ახლა თვალი ბავშვებს და მოზრდილებზე გადავიტანოთ. რამდენ მოზრდილს ვნახავთ, რომ ამ მხრივ გულის, გრძნობის ბავშვობას ვერ გასცილებია—„ხარბად, ბრმად, ხედვის ყურჩადა და თვით ვერას ვერ გამზომელად" ამ სოფლის მთელი სიტკბოება ჰსურთ სავსებით თვითონ დაისაკუთრონ.

ეს იმიტომაა, რომ თვალები, ადამიანის უმაღლეს ნიჭს, იმის გონებას და არა გრძნობას ახხია: გონება არ არის ბრმა—იგი ჰხედავს, ჰზომავს, არჩევს და ამიტომ გონება გულის და გრძნობის წინამძღოლია. ამიტომაა, რომ ის ადამიანი, რომლის არსებაში გრძნობის ძალა გონების ძალას სჭარბობს—სვე-ბედის ხელში უბრალო სათამაშოა.

უინათლო გრძნობას კრიტიკისა, არჩევისა და გაზომვის უნარი არა აქვს, ამიტომ სრულებით არ ძლუძს ადამიანის ცხოვრებას მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს. გრძნობას არ ესმის, რა არის წუთიერი, წარმავალი და რა არის საუკუნო, მტკიცე და უკვდავი. იგი არ სჯის—ფიქრის, აზროვნების უნარი არა აქვს და თავის თავად თუ მიზნის, საგნის დამსახველი გონიერებას მოკლებულია, სურვილის მხოლოდ ბრმა ძალას წარმოადგენს.

ნადირი ჰხედავს ხმელ ფიჩხზე დადებულ ხორცის გემრიელ ნაჭერს. იგი გრძნობის, სურვილის მორჩილია. არ სჯის იმის შესახებ, თუ რად აგდია ასე უცნაურად ეს ხორცი ტყის შუა გულში; ფიჩხზე შედგება, რათა გემრიელ ნაჭერს პირი წაავლოს და მის ქვეშ დაფარულ ორმოში ვარდება.

ასე ემართება ბრმა გრძნობის მორჩილ ადამიანსაც.

ერთ კაცს ვიცნობდი, რომელსაც წელიწადში ექვსასი თუმანი შემოსავალი ჰქონდა. იმისი ბედი ისე სამწუხაროდ დატრიალდა, რომ შემოსავალი გაუნახევრდა, სასოწარკვეთილმა საბრალო ადამიანმა თავი მოიკლა. გრძნობის ბრმა მორჩილს არ ესმოდა, არ ფიქრობდა, რომ, ცხოვრების კანონის ძალით, გემრიელ ლუკმების ქვეშ სასიკვდილო ორმოებია ამოთხრილი.

საწყალი ჩემი ნაცნობი უბრალო სათრევი, დუდუკი იყო გრძნობის, სვე-ბედის, შემთხვევის—თავისი შემოსავლის ხელში: როგორც ჰსურდა - ისე ათამაშებდა.

თვალი გადავავლოთ იმ ბრბოს, ხედვის ყურ ძმობილებს, რომელთაც ყოველივე სიკეთე მხოლოდ თავის ბავშვებისათვის ჰსურთ. მათი გონების ლამპარი იმდენად პაწია და მქრქალია, რომ მხოლოდ ბავშვის პაწია სხეულს უნათებს, იმის საზღვარს ვერ სცილდება, მხოლოდ ამ სხეულის კეთილდღეობ სწყურიათ. მათი გონება ამ მხრივ გრძნობის მორჩილი, ამ გრძნობის მბჟუტავი შუქია და სხვა არაფერი. ამ გვარი გონება თავისი ძალით გრძნობას არ საჭიროობს, ცხოვრებისა და იმის ღრმა კანონების განათება არ შეუძლიან. არა აქვს ამ მბჟუტავ გონებას იმის უნარი, რომ გრძნობას ცხოვრებაში ფართო ასპარეზი გაუშალოს, მის მოქმედების წრე გააფართოოს.

გონება ასპარეზის შექმნილ-გამაფართოებელი ძლიერი იარაღია. გრძნობა—ამ ასპარეზზე მომქმედი ძალაა. ასპარეზის გაფართოვება იმიტომ ძალუძს გონებას, რომ კრიტიკის, შედარების, რუსთველის თქმისა არ იყოს—გაზომვის უნარი მოსდგამს. ჰხედავს, რომ ის ასპარეზი, რომელზედაც გონება და მასთან დაკავშირებული გრძნობა წინად მოქმედებდა—ვიწრო იყო და ამიტომ ადამიანის ცხოვრებას ღარიბი, საცოდავი შინაარსით ავსებდა.

„ნუ თუ ის, რომელსაც დიდებულ კეისარს უხმხდნენ, ამ პაწია უსულო გვამად გადაიქცა?"—გაკვირვებით ეკითხება თავის თავს შექსპირის გმირი, როცა მოკლულ იულიოს კეისარის გვამს დაინახავს.

სიკვდილმა ცხად ჰყო აქ, სიტყვის დიად ვითარებასთან შედარებით სხეულის პაწია, უმნიშვნელო ვითარება,—ცხად ჰყო გონებისათვის, რომელიც სჯის, აზროვნებს, ზომავს. გრძნობას კი, რუსთველის თქმისა არ იყოს, „სიკვდილი ვერ პატრონობს", ესე იგი—არ ემორჩილება ამ დიად მოვლენას, არ ესმის მისი იდუმალი, ღრმა აზრის შემცველელი, ვითარება,—არ ესმის იმიტომ, რომ „თვით ვერას ვერ გამზომელია"—არ ძალუძს იმის გამორკვევა, თუ რა არის უკვდავი და რა მომაკვდავი ადამიანის არსებაში.

გრძნობის მორჩილი ადამიანი, თუმცა ჰხედავს მრავალ სხეულთა სიკვდილს, მაინც თავის სხეულს ემსახურება, იმისი მონა-მორჩილია, რადგან მას „ვერ პატრონობს" დიადი იდეა სიკვდილისა, არ შეუძლიან გრძნობის ალაგმვა და სულის უკვდავ მისწრაფების მსახურად გადაქცევა.

აი, ჩემის აზრით, რას გულისხმობდა შოთა რუსთაველი, როცა თავის შესანიშნავ აფორიზმს სწერდა. **ილია ნაკაშიძე.**

## მუშათა ცხოვრება რუსეთში

**პეტერბურგი.** 5 დეკემბერს ტარასოვის სადურგლო ქარხნის მუშებმა ერთი დღის გაფიცვა გამოაცხადეს, დეპუტატ ბადაევის დაჯარიმების გამო პროტესტის ნიშნად.

კოლბეს ქარხნის მუშებმა ხელ-ახლად წამოაყენეს საკითხი მუშათა ბინების თაობაზე, მუშები აღნიშნავენ საშინელ გაჭირვებას, რასაც კრებისათვის შესაფერ ბინის ძებნის დროს განიცდიან ხოლმე მუშები. კოლბეს მუშები მოითხოვენ მუშათა კრებებმა და პრესამ სათანადო ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და მოითხოვონ მუშათა კრებისათვის საჭირო ბინების აგება.

**რეველი.** დაიხურა სადურგლო ქარხანა, რომლის მუშებიც ოქტომბრიდან გაფიცულნი იყვნენ, მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილება წარუდგინეს ადმინისტრაციას. მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებლადა სცნეს, რასაც ქარხნის დაკეტვა მოჰყვა. 1400 კაცი დაითხოვეს.

## მოწერილი ამბები

**არაგვის ხეობა.** ამ დღეებში ვიყავი ამ ხეობაში. კულავ, ამ დროს, ღართის კარს რო გავცდებოდი ხოლმე და გადავხედავდი არაგვის და ქსნის მიდამოებს, საუცხოვო სანახაობა მეშლებოდა ხოლმე თვალ წინ: შორს კავკასიონის მთები თეთრად შელესილი თოვლით, მათ წინ შავად ჩახრუშული მთა-ტყენი და მდინარეთა ნაპირებზე და მთების კალთებზე მშვენიერი მწვანე ჯეჯილები. ჯეჯილების ბიბინი ამ საზამთროდ გაშიშვლებულ ბუნების წიაღში, თვალს ასიამოვნებდა, მშვენიერ იმედებს ჰბადებდა. რომ ჩვენი მშიერ-ტიტველი ხალხი კულავ მაინც გაძღება და საშიშვლეს დაიმალავდა.

— ქიტი, რატომ არ ბიბინებს ჩვენი არე-მარე,—შევეკითხე ჩემს თანამგზავრს?—ეხლა რომ ღალანი უნდა გაჰქონდეს, ადრე გაზაფხულსავით, ამ მინდვრებს, ჰა! ან იქნება ჯერ არ დაგითესნიათ?

— როგორ არა, შენი ჭირიმე, მიპასუხა მან. დავთესეთ, მაგრამ ეშმაკ ქ ჯებისთვის. . ტყუილად გადავყარეთ ეს ამოდენა თესლი. თესლი თელად დაგველუპა, ალოებს ხომ ნუღარ იტყვით. თუ ცოტა კიდევ ასეთი ამინდები გაგრძელდა, შენი მტერი, ჩვენ ცეცხლზე წყალი დაგვესხმება. სიმშილი მოგვკლავს, სულ გაგვიწყრება ნაყარი!

ჩავილ ნარეკვავ, არაგვის [illegible] მდებ მიწებში; მართლაც მინდვრები მთლად დაფარცხულია. ჯოხით ვქექე, ვფიქრობდა გაღვივებული იქნება თესლი მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, როგორც გადაუყრიათ ხორბალი ისევ ისე მშრალად ყრია მიწაში. ჰაა-ღუას მიუქუჩებია ადგილ-ადგილ თესლი. კიდევ ღმერთს მადლი, თაგვის სოროები არ სჩანს აგრე რიგად. რაც ამ ქვემძრომთ დაურჩენიათ, ფრინველს მიაქვს. გაჰხედეთ, მიმითითა ქიტომ ხელი, აი ბოინა ჭილ-ყვავს, ეგენი აბა რა ხეირს დააყრიან ნათესობას, თუ ერთი წვიმა, ან თოვლი არ ეღირსა ნამუშევარს!...

მართლაც გარეული, თუ შინაური ფრინველი ძალიან იყო მინდვრებზე მოდებული, ალაგ-ალაგ მტვერი აჰვარდებოდა ხოლმე მინდორს, დღე კი მეტად მშვიდი იყო. ამაზედაც მიმიქცია ყურადღება ქიტომ. აბა რა ჯანაბა მოიყვანს ქირნახულს, როცა ფარცხვა მტვერს და ბუქს აყენებსო!..

ბევრს დაუგვიანია. წვიმის ლოდინში და ეხლა და ჰფარცხავს. ცხადია ეხლა ნათესიც და წინანდელიც რგვლათ შეჰყვება ზამთარს და, თუ თოვლი დაედო ზემოდგან, კიდევ ეშველება რამ, რადგანაც თოვლს ქვეშ ქინახული მუშაობს, თუ არა და ეს ამოდენა ურწყავი მამულები მთლად ამოიყინება.

ამისთანა შემთხვევისთვის საშველი მორწყვაა. მაგრამ ბევრს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ამისი საჭიროება. აი სოფ. ნატახტარი, რომელსაც საკუთარი სარწყავი რუ აქვს, ერთს დღიურსაც არ მოჰრწყავს ამ შემოდგომით.. „მიწა დაეჩვევა და არ ვარგაო"—ასე მიპასუხეს. წილკანს, ერედას, მუხრანს, ძალისს აქვს სარწყავი რუები და ყოველ წლივ ძალიან იყენებენ ამ წყალს. მათ მინდვრებზე აკი მწვანეც მოსჩანს, მთისკენ ბაზალეთ-დუშეთის მიდამოშიც არა უჭირს რა მოსავალს, რადგანაც იქ დედა-მიწას ბუნებრივი ნესტი არ აკლია. დალუპულებია ურწყავი სოფლები. ასეთები კი სჭარბობს ამ ადგილებში.

ამ ხეობაში მდებარეობს **სოფ. მისაქციელი**, დალამი, რომელთაც უსრულდებათ ახლა კაი დიდი ხნის ნატვრა. ამათ მშვენიერ მინდვრებს სარწყავი რუ აკლდა. გამსჯელი და მოცადინე ხალხი ხშირად, გვალვიან დროს, ულუკმა პუროდ რჩებოდა. ამ ექვსი-შვიდი წლის წინედ შეუდგნენ რუის გამოყვანის თადარიგს და წლეულ ძლივს ეღირსნენ ნებართვას, მუშაობასაც შეუდგნენ. მუშაობისთვის მშვენიერი ამინდი ხელს უწყობს ამ სოფლებს. გაზაფხულზე სათავეს მოაწყობენ და ღმერთი უშველით, სარწყავი მინდვრები უზრუნველ ჰყოფს მათ მომავალ გაჭირვებისგან.

იმედია, ვისაც ამ რუის ბედ-იღბალი ხელთ აქვს, შრომას არ დაიზარებენ და მერმის მაინც მიუგდებენ წყალს ამ დიდად სასარგებლო არხზე. **მგზავრი ლ.**

## უცხოეთი

**იაპონია.** ერთი იაპონური ოფიციოზური გაზეთი სწერს: მანჯურია და მონგოლეთი სულ ახლო მომავალში უთუოდ უნდა გადაიქცეს იაპონის ახალშენად. ამისთვის შემზადებულია იაპონიის საზოგადოება, ამას ესწრაფვის ჩვენი მთავრობა.—ამ მიზნის მისაღწევად იაპონია დაუღალავად მუშაობს. თუმცა კეთილი განწყობილება აქვს ჩინეთთან, მაგრამ ამავე დროს სისწრაფით მაგრდება ეკონომიურად სამხრეთ მანჯურიაში, გახსნა ბანკები, განავითარა იქ ვაჭრობა და მრეწველობა, გააუმჯობესა გზები და ნავთსადგურები.

**საფრანგეთი.** პარიზის დიპლომატიურ წრების ცნობით, რუსეთი ამ ჟამად ოსმალეთის წინააღმდეგ არავითარ დემონსტრაციას და არც სხვა რაიმე რეპრესიულ ზომას არ აპირებს. თუმცა შესაძლოა ალძრას საკითხი, იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც მას დაევალებული აქვს 1871 წლის ლონდონის კონფერენციით. ასევე უარი სთქვა მან პარიზის ტრაქტატის მოთხოვნილებათა შესრულებაზე, რომელიც მას ავალებდა შავ ზღვაზე ფლოტი არ გაეჩინა.

**ოსმალეთი.** ახალგაზდა ოსმალოთა გაზეთში „ტასფირ-ი-ეფქიარში" დაბეჭდილია სომხების წერილი, რომელშიაც აცხადებენ, რომ ჩვენ წინამდეგნი ვართ ოსმალეთის სომხეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ იყოს ან რუსეთს დაემორჩილოს, ჩვენ არასოდეს არ ვინდომებთ რუსეთის ქვეშევრდომობას; ჩვენ გვწადიან მხოლოდ ის, რომ ოსმალეთის მთავრო-

ბამ საჭირო რეფორმები მოახდინოს ჩვენს ქვეყანაში.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

11 დეკემბერი

## უცხოეთი.

**ბერლინი.** ბერლინის პოლიციის პრეზიდენტი სასტიკადა ჰგმობს „კრეიც-ცაიტუნგში" პორუჩიკ ფორსტერნის დასჯას. პრეზიდენტის სიტყვით, ელიზას-ლორენი მოპირდაპირეთა ბანაკს წარმოადგენსო.

**სოფია.** მიწის-მფლობელთა კონგრესმა დაადგინა: სხვა პარტიებს კომპრომისით არ შეუერთდეს, არ დაუჭიროს მხარი მთავრობას, კაბინეტსა და პრეზიდიუმში მუშაობაზე უარი სთქვან, ხმა მისცენ ისეთ წინადადებას, რაიც მათ პროგრამას არ ეწინააღმდეგება, მოითხოვონ მთავრობიდან დაუყოვნებლივი გაძევება ოსმალეთის მომხრეებისა და ანკეტის მოხდენა ბულგარეთის უბედურების დამნაშავეთა აღმოსაჩენად, დაიცვან არჩევნების პროპორციონალური სისტემა და არავითარი ურთიერთობა არ იქონიონ სასახლესთან.

**პარიზი.** სამხედრო მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების კანონ-პროექტი პალატამ ხმის უმეტესობით მიიღო.

**ბელგრადი.** აღმოსავლეთის რკინის გზათა საკითხის გამო გაზეთი „სამოუპრავა" სწერს: საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტისათვის საჭირო ეს გზები შევისყიდოთ თანახმად პარიზის საფინანსო კომისიისა ან ჰააგის ტრიბუნალის დადგენილებისა.

**რომი.** გაზეთი „ტრიბუნა" სიამოვნებით აღნიშნავს სამხრეთ ალბანეთის გამმიჯვნელ კომისიის მუშაობის დასრულებას. გაზეთის სიტყვით, სამთა კავშირის მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება, რომ საბერძნეთის ჯარმა ალბანეთში დაჰყოს 1914 წლ. 6 იანვრამდე. გაზეთი ეჭვს გამოსთქვამს, საბერძნეთის ჯარის გაყვანის შემდეგაც ალბანეთში მშვიდობიანობის დამკვიდრების შესახებ, რადგანაც საბერძნეთმა ამ ბოლო დროს ეპირის ჯართა შეიარაღება გააძლიერა. გაზეთი წინადადებას იძლევა ჰოლანდიის ოფიცრები მოიწვიონ ალბანეთში ჟანდარმერიის მოსაწყობად.

**ბერლინი.** „ფრანკფურტერ-ცაიტუნგის" ცნობით, გერმანიისა და ჩინეთს შორის წინაწარი ხელშეკრულება დაიდვა გერმანიის მიერ ჩრდილოეთ ჩინეთში რკინისგზათა გაყვანის შესახებ. რკინის გზის გაყვანა 1914 წელს დაიწყება. საჭირო თანხად 80 მილიონი მარკა გადაიდება.

**პეშავერი.** ავგანის ყაჩაღთა ბრბოთ დეკემბერს დაეცა ქაირაბადის სადგურს; მოჰკლეს ორი მსახური. სადგურის უფროსი ტყვედ წაიყვანეს.

**ბელგრადი.** „პრეს-ბიურო" იტყობინება: სიმართლეს მოკლებულია „ალბანიშე-კორესპოდენტში" მოთავსებული ცნობა, ვითომც მაკედონიაში სრული ანარქია სუფევდესო.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის მთავრობის ცნობით, მარმაროშ-სიგეტში უგრორუსთა პროცესი 16 დეკემბერს დაიწყება. „პესტერ-ლოიდის" სიტყვით, ბრალდებულთა, დამცველთა და მოწმეთა რიცხვი 400-ზე იქნება, რის გამოც სასამართლოს დარბაზში მხოლოდ პრესის წარმომადგენლებს შეუშვებენ. მარმაროშსა და დებრიჩინის ვექილთა პალატამ ბრალდებულთა დაცვა უსასყიდლოდ იკისრა.

**პარიზი.** საფრანგეთის აკადემიის წევრი ჟიულ კლარეტი გარდაიცვალა.

**ბელგრადი.** სკუპშჩინაში შეიტანენ კანონ-პროექტს ხარჯთ-აღრიცხვის ²/₁₂ ნაწილის თაობაზე 1914 წლის იანვრისა და თებერვლისთვის. გარდა ამისა მთავრობა საგანგებო ხარჯებს მოითხოვს ახლად შეძენილ ოლქების მართვა-გამგეობისათვის. ჯარის რეორგანიზაციის კანონ-პროექტი მთავრობამ შეიმუშავა.

**ვენა.** სერბიის გაზეთები იტყობინებიან: 29 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე შეტაკება სწარმოებდა დიბრის მახლობლად დროებითი მთავრობის ჯარისა და ესად ფაშას შორისო. ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა ამ ცნობას უარჰყოფს. მართალია მოპირდაპირეთა შორის სისხლის ღვრა მოსალოდნელი იყო, მაგრამ ესად-ფაშის ჯარი იძულებულ გახდა უკან დაეხია, რადგანაც მთავრობის ჯარს ელმასანიდან დამხმარე რაზმი გაუგზავნესო.

**ზაგრები.** ხორვატიის სეიმი 14 დეკემბერს შეიკრიბება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა საფინანსო რეფორმის უკანასკნელ ნაწილის განხილვას შეუდგა. უკრაინელები ობსტრუქციას ახდენდნენ; ამითი ჰსურდათ ხელი შეეშალათ რეფორმის გაყვანისათვის, რომელიც 19 დეკემბერს უნდა განხორციელდეს. სხდომის ბოლოს სოციალისტმა ლამანდმა და ირომ პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ რეფორმა მეფის დეკრეტით უნდა განახორციელონ. ირომა სთქვა: ისეთი მთავრობა, რომელსაც არ ძალუძს პალატის საშუალებით განახორციელოს ესა თუ ის რეფორმა, უნდა გადადგესო.

**პარიზი.** საბიუჯეტო კომისიაში კაიომ განაცხადა: თუ მთავრობას ხარჯთაღრიცხვის ²/₁₂ ნაწილს არ მისცემთ, ეს უნდობლობის გამოცხადებას უდრისო. კომისიამ კაიოს წინადადება მიიღო.

**ურგა.** მონღოლთა შორის ყრუ უკმაყოფილებაა თავადების მიმართ. უკმაყოფილება გამოწვეულია ჩინეთიდან გამოყოფვით.

## რუსეთი.

**ვარშავა.** ღამით უნივერსიტეტის ლაბორატორიის შენობას ცეცხლი გაუჩნდა, დაიწვა მხოლოდ სახურავი.

**დონის როსტოვი.** ტაგანროგიდან რადიოტელეგრაფის სადგურს ატყობინებენ: რუსეთის სანაოსნო საზოგადოების ბუქსირის გემს ბელგლეცკში უბედურება ეწვიაო. გემი გაება ლუზის ჯაჭვში, მანქანის მუშაობა შეჩერდა. გემს წყალი თავზე გადასდის. წყალი იყინება. გემს აუცილებელი დაღუპვა მოელის. მარიუპოლიდან საშველად გავიდა ყინულის მჭრელი გემი. ზღვაზე თოვს და ქარიშხალია.

**მინსკი.** გუბერნიის საეკონომიო საბჭომ დაადგინა, სამი სამეტეოროლოგიო სადგური დაარსოს, გუბერნიის საგეოლოგიო რუკის შედგენისთვის გადაიდოს 2.000 მანეთი, 500 მანეთი მიეცეს მეურნე გლეხებს დანიასა და შვეციაში საექსკურსიოდ.

**დონის როსტოვი.** ღამის ორ საათზე მარიუპოლის ნავთსადგურიდან გასული ყინულის მჭრელი [illegible] შევიდა გემთან; ხალხი გადმოიყვანა; გემი „სმელი" მარიუპოლის ნავთსადგურში მიაცურეს.

**არხანგელსკი.** სტარცევის ნაცვლად სათათბიროს წევრად ექიმი კადეტი კრივონოგოვი აირჩიეს.

**ეკატერინოსლავი.** საერობო კრებამ ქალაქის თვითმართველობას იაფბინების მოსაწყობად 10,000 მანეთი გადასცა.

**მოსკოვი.** სახალხო განათლების მინისტრმა სხვა და სხვა სასწავლებლები დაათვალიერა.

**პეტერბურგი.** კერძო პირმა სახალხო განათლების სამინისტროს შესწირა ფული დედა-მიწის გარშემო სამოგზაურო ორი სტიპენდიის დასაარსებლად. მსურველთ შეუძლიანთ თხოვნა მისცენ არა უგვიანეს 1914 წლის 16 იანვრისა.

**პეტერბურგი.** შორეულ-აღმოსავლეთსა და ციმბირში საერობო თვითმართველობის შემოღების საკითხი აღიძრა.

**კიევი.** საბჭომ დაადგინა, ამოირჩიოს კომისია შევჩენკოს ასი წლის იუბილეის მოსაწყობად.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**სამშობიარო თავშესაფარი ი. უხარტელისა** გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ფეხსაცმელები ძმათა დ. ჯახუტაშვილის** მაღაზია-სახელოსნოში; მუხრანის ქ. № 2.



მიღებულია, ახალი ზამთრის სეზონის საქონელი, ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები სეფაბრიკოა. 855

**ძმათა ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო** (დაარსებულია 1880 წელს) ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

**„606" და „914"**

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

გ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

მ. გ. [illegible]: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვებით, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საშვებით და ქალების ავადმყ.

ა. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1004 დოქტორი გ. ა. ნავასარდიანი

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

გამოსულია და იყიდება **ნ. შიუკაშვილის** პიესა **„მეგობრობა"**, დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

**მუდამ დღე მოგვდის** თევზის მრეწველნი **ძმ. [illegible] ძმველოვები.** ახალ-ახალი მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი. აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა. კოლოფით ქიტკა და ხმელი სოკო, აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9. ტელეფონი № 712. 1560

**Верійская паная баня**

ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ **ზ. ი. აბრამაშვილის აბანოში** ევროპიულად მორთულ ოროთქლის აბანოში ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7), ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით. გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები. განათებულია ელექტრონით.

ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.

საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. ცივი და ცხელი დუში სტაციალ-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. ვანები აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდის. 1602

**ალტაცეზისათვის იშვიათი შემთხვევა!**







ჩვენი ნივთების ღირსებით გამოცდებით, რომლისაც გაიგებთ, თუ რა იაფი ფასები დავაწესეთ მათზე. რომელიც დარწმუნდებით ჩვენი საქონლის კეთილ ღირსებაში,

მხოლოდ 4 მ. და 95 კ. ვგზავნით შემდეგს ძვირფას და სახარგებლო ნივთების გარნიტურს: 1. მშვენიერ ჯიბის საათს, ნამდვილი შავი ფოლადისას, ახალ მოდურს, ძლიერ თხელს, მოსართავი თავში აქვს და მორთვა სჭირია ყოველ 40 საათის განმავლობაში ერთხელ, ნამდვილი ანკერი, მუშაობს ქვებით, ან და ქალებისათვის ცილინდ., წუთამდე შემოწმებული, უეჭველად სწორი მუშაობა, პასუხის-გება ექვსი წლის განმავლობაში. 2. კოხტა და მოდური ძეწკვი ორფად ნამდვილი „დუბლე"-ს ლითონიდან, საუკეთესო შნოისა, 3. ძლიერ საინტერესო ბრელოკს, 4. საათისათვის ზამშის ბუდეს, 5. საზღვარ-გარეთულ საფულეს ტყავისას, ექვსი განყოფილებით და მექანიური გასაღებით, კოხტა პარიზის ხელობისას, 6. რეზინის ბეჭედს, რომელზედაც ეწერება გვარი, სახელი და მამის სახელი შემკვეთელისა. 7. საათების დასაცავს ქურდებისაგან, 8. სათეატრო ბინოკლს, საუცხოვო ნახელავს, ოთხი აქრომატიულ შუშით, რომელიც ძლიერ ადიდებს შორეულს საგნებს, 9. სტერეოსკოპს—ცოცხალ სანახაობას, რომელიც აჩვენებს ნახატებს ბუნებრივად, 10. ამისათვის ექვს ფრიად საინტერესო სურათს, 11. კეკლუც საჩუქარს ქალებისათვის, რომელსაც შეადგენს ბეჭედი დუბლე-ოქროსაგან, ფრანგული ბრილიანტით, ასეთსავე ბროშკას და ახალმოდურ ფასონის წყვილ საყურეებს, 12. საშინაო სტამბას, რომელიც შესდგება რეზინის 129 ასოდან და ციფრიდან, საჭიროა ყოველ სახლში თვითმბეჭდაობისათვის, 13. ნიკელის ჯიბის საწერელს, ძლიერ ადვილს ჯიბით სატარებლად, 14. ჯიბის სატუალეტო ნესესერს ოთხი საინტერესო და საჭირო ნივთით, 15. უკანასკნელი ახალი ამბავი: კოლვერი, სამუდამო ჯიბის ასანთით, 16. საინტერესო ჯადოსნურ წიგნს, რომელიც შეიცავს, 100-მდე ახალ-ახალს საინტერესო ფოკუსს: მთელი გარნიტურის ფასი 4 მან. 95 კაპ., 2 გარნიტურისა კი—9 მან. 30 კაპ. ასეთივე გარნიტური საუკეთესო ხარისხის ნივთებით, უმაღლესი ღირსებისას 5 მან. და 70 კაპ., 2 გარნიტური კი—10 მ. 80 კ., თითო გარნიტურა დახურულ საათით ღირს 1 მ. უფრო ძვირი.

ვურჩევთ საუკეთესო ხარისხოვანის გამოწერას, რადგან ფასში ძლიერ მცირე განსხვავებაა, ღირსებისა კი ფრიად დიდი. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი ხარჯი 45 კაპ., (ციმბირში 80 კაპ.).

ადრესი: „Т—во „Патентъ", Варшава, Св. Креста, отд. 127.

Метцль. 64512. 1583




1523

გამოსულია და იყიდება **ი. გედევანიშვილის** პიესა **„მამცემი"** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის** საწყობში შემდეგი გამოცემანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ყუბანეიშვ. პირველდაწყ. დარიგ. სღვთ. სჯ. სწავლებაზე, | ფ. | ყდით | 30 კ. |
| ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია | " | " | 40 " |
| ხუნდაძე. ქართული გრამატიკა. | " | " | 60 " |
| მისივე. მოკლე ქართული გრამატიკა | " | " | 20 " |
| ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა. | " | " | 20 " |
| რობაქიძე. სამშობლოს აღწერა. | " | " | 50 " |
| „გუთანი". ქართული სახელმძღვანელო | " | " | 85 " |
| გერსამია მღვდ. ლოცვანი, | " | " | 10 " |
| დათეშიძე. წერის დედანი, | " | " | 25 " |
| კიტა აბაშიძე. ეტიუდები მე XIX საუკ. ქართ. ლიტ. შესახებ, | " | " | 70 " |

აქვე იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა და სასწავლებლებს ეძლევათ დიდი შეღავათი. გვერდით გამართულია სპეციალური კანცელარიის მაღაზია დ. ოცხელისა, სადაც მოიპოვება სასწავლო და საკანცელარიო ნივთები ძლიერ იაფად. ამ ჟამად აქ მიღებულია მრავალი სავიზიტო „კარტოჩკები" და კალენდრები 1913 წლისათვის.

ადრესი: Кутаисъ. Книжный магазинъ Т—ва К. Оцхели. 1621

„გამოცემა სორაპნისა"

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული

**კედლის კალენდარი 1914 წ.**

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

ფ ა ს ი 40 კ ა პ.

კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.

**სახალხო კალენდარი 1914 წ.**

დ ა ს უ რ ა თ ე ბ უ ლ ი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"

1592.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი

**საბუღალტრო კურსები** (საღამოსი),

**რ. ზ. რომანოვისა,**

(1908 წ. დაარსებული).

ტფილისი, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 47, ტრამვაის სადგურთან, მე-3 სამოსამართლო განყოფილების მახლობლად.

კურსი 5 თვიანია, ყოველ-დღიური მეცადინეობით.
სწავლა იწყება 1914 წ. 2 იანვრიდან.

ამზადებენ ორივე სქესის პირთ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებაში თანამდებობის მისაღებად და აძლევენ სპეციალურ საკომერციო ცოდნას საბუღალტრო და სხვა საკომერციო მეცნიერებიდან. პრაქტიკული მუშაობა ბუღალტერიისა და კორესპონდენც. სწარმოებს კურსებთან მოწყობილ სპეციალურ კანტორაში, სატახტო ქალაქების კურსების მიხედვით, თვალსაჩინო წესით, მასალა აღებულია ცხოვრების სინამდვილიდან (სავაჭრ. დოკუმენტ. და სხვა ფორმ.), და სავალდებულოა აწერმ. ანგარიშები ერთ-თვიან რთულ წარმოებათა, როგორც საზოგადოდ სავაჭრო ბანკის ანგარიშებისა. სავალდებულო საგნები: 1. ა) ბუღალტერია, უბრალო, იტალიური (ორმაგი), გერმ., ამერიკ., ფრანგ., ინგლის. კამერალ. და რუს. (სამმაგი) (პრაქტ. მუშაობით ყოველ სისტემაში). ბ) ანგარიში: საზოგადო სავაჭრ. საქარხ. ბანკის შემნ. გამს. და საკრ. ამხ. ნავთ-მრეწვ. და დაზღვევისა. ანგარიშის წარმოება კარტ. სისტ. 2) კომერც. არითმ. 3) სავაჭრო უფლება. 4) თამასუქ. უფ. 5) კომ. კორეს. (თეორია და პრაქტ.), 6) არითმ. საანგ. ჩოთქზე, (კომერც. და მათემ. გამოანგარიშ. ახალ და უადვ. საშუალებით), 7) კალიგრაფია (უხეირო ხელის გასწორება), არა სავალ. საგ. 8) პოლიტ.-ეკონომ., 9) სტენოგრაფია, 10) საწერ მანქანაზე წერვა, 11) რუსული ენა, 12) არითმეტიკა. მასწავლებლებად სპეციალისტები არიან მოწვეულნი უმაღლესი (უნივერსიტეტის) სწავლით. მსმენელ ქალ-ვაჟთა მიღება სწარმოებს ყოველ დღე კურსების კანცელ. დილის 10—3 ს.-დე და საღამოს 5—8 ს.-დე. კურსების წესდება და პროგრამა უფასოდ იგზავნება. 1615